

# შრომა

გაზეთის გამომცემი

**გაზეთი გამოდის ყოველ-დღე**  
**გარდა უქმების შემდეგ დღეებისა**  
**გაზეთის ფასი:**  
 ერთი თვე 10 მან., ცალკე ნომერი 3 კუპონი ათი შაური.  
**განსვადების ფასი:**  
 პირველ გვერდზე პერიტი სტრიქონი 1 მან., მეორეზე 80 კაპ.  
**სამგლოვიარო განცხადება:**  
 12 საათამდე — 15 მან., შემდეგ 20—მ.  
**რედაქცია ღია დღის 10—2 ს.**  
 რედაქციასთან პირდაპირ მოლაპარაკება შეიძლება დღის 10—12 ს.

ბელის მომწერლებმა დაიწყეს მისამართი უნდა გამოგზავნიან: ტიფლის, კონტორა გაზ. „შრ.მა“, ბარონსკაია ულ., № 16. სხვა მისამართი გამოგზავნილ ფულს კანტარა ვერ მიიღებს. კანტორა ღია დღის 10—21. და საღამოს 5—7 სათ. რედ. ქუჩის ს. ხელზე გამოგზავნილი წერილი უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვევით. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედ. ქუჩა არ ინახავს.  
**მისამართი:** ტიფლის, Редакция „Шр.ма“, Барон. ул. № 16.

№ 107 **მრგანო საქართველოში მომავალ სოციალისტ-რევოლუციონართა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.** № 107

**ნომრის შინაარსი.**

**წერილები:**

**შეთანხმების ტენდენციები**  
 დილიანი. ფსიქოლოგიური კრიზისი.  
 ვანო. ამხ. ვანო ჟორდანიას სსოვანს.  
 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონართა პარტიის მეორე ყრილობა (ამჟამინდელი).  
 პარტიული ცხოვრება.  
 დამსწრე. ავღობრის სოც.-რევ. პარტიის მუშათა კოლექტივის კრება.

**მ. მ. ი.**  
**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია იხილავს საქართველოს სასარგებლო საქართველოს ბურჟუაზიის დახმარების შესახებ.**  
**კრავიკის მთავრობამ ბრძანება გასცა ჯარის 31 დეკემბრამდე დემობილიზაციის შესახებ.**  
**სამშვიდობო კონფერენციის 15 იანვარს მოიწვევენ.**  
**დამოუკიდებლობა სოც.-დემ. გადასწყვეტის მხარი დაუჭირონ ნაციონალურ ყრილობის არჩევნებს.**  
**მოკავშირეებმა პილსუდსკის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს.**  
**შვეციის მინისტრმა ნოტა გადასცა ფინლიანდიის მთავრობას, სადაც აღნიშნავს, რომ ალანდიის კუნძულის მცხოვრებნი შვეციასთან შეერთების სურვილს გამოხატავენ.**

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშოლ-საგაჟილი.  
 მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთა და იძლევა საბეჭდო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დღის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

**ექიმი ი. კ. აბაკელია**  
**შინაგანი ავადმყოფთა.**  
 განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.  
 ამოცნობა (დიანოზი) და წამლობა ყოველგვარი ქლექისა, სისხლნაკლებობისა და მალარიისა.  
 ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4<sup>1</sup>/<sub>2</sub>—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

იმპერიალისტთა მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპიროთ მთლიანი სოციალისტური ფრონტი. სხვა გზა რუსეთის სოციალისტებისათვის დღეს ყოველად მიუღებელია. როგორც სჩანს ეს აზრი უფრო და უფრო იკიდებს ფეხს რუსეთის სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებში.

ტენდენცია შეთანხმებისაკენ უკვე ემჩნევა რევოლუციონარ დემოკრატის უფრო საღ ელემენტებს, ამას მოწმობს სხვათა შორის პარტიის რეზოლუცია, რომელიც გაზეთებში ამ დღეებში გამოქვეყნდა.

ბოლშევიკებთან ბრძოლა რეპუციონარ ელემენტებთან შეთანხმებით და გარეშე ძალებზე დაურღნობით უნდა ერთხელ და სამუდამოთ უარყოფილ იქნეს. ამასთანავე ბოლშევიკებმა ხელი უნდა აიღონ თავის ურა პოლიტიკაზე და უაზრო ტერორზე. ერთი სიტყვით, უნდა უარყოფილი იქნას როგორც ოპორტუნოზი, ისე ავანტიურისმი. მხოლოდ ამით გაჯამრთვდება რევოლუცია, მხოლოდ ამით გაიმარჯვებს რუსეთის დემოკრატია.

სენაკის სამაზრო ერთობის გამკეობა აწუბს სასწრაფო საექიმო საკვებავ რაზმს.  
**საჭიროა სანიტარები,**  
**მსურველთა ქავთარაძეს** სასტუმრო „ფრანცია“-ში.  
 შეუძლიათ მიმართონ ექ. პ. 2—2

**განსვადება.**  
**თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა, სდგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ეგვლან მოქალაქეს შეუძლია ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლად უბევე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ფ. კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.**

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.  
 არსებობს შემდეგი პირობები: 1—ყველა მოხალისეს, რომელიც სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურებს—ადგილი შეენახება 2. სამხედრო მოქმედების შემდეგ ისინი განთავისუფლებული იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან. რაზმების შედგენა დაფარებული აქვს გენ.-მაიორ მალალაშვილს გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.  
 ჩაწერა შეიძლება ბარათისის ქუჩაზე, საშხედრო სამინისტროში ყოველ დღე დღის 9 საათიდან—14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.  
 მისამართი: რაზმების სეკციის განყოფილება  
 გენერალ-მაიორი: მალალაშვილი.  
 7—3

## ფსიქოლოგიური კრიზისი.

ცხოვრებაში არც ერთი მოვლენა, რა გინდ მცირე იყოს ის, არ ჩაივლის ისე, რომ რაიმე შედეგი არ მოჰყვას მას. ზოგ ამ შედეგებს ჩვენ ვამჩნევთ, რადგან ისინი ასე თუ ისე თვალსაჩინოა, ზოგს კი ვერა. მაგრამ მოვლენა უშედეგოა წარმოუდგენელია. ეს საერთო კოსმიური კანონია. ამ კანონს მეტი გასავალი აქვს რთულ და ურთიერთ მჭიდროთ გადახარბთულ მომენტებში. ასეთია სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნული და სხვა მომენტები. რამდენათ ამ მომენტებში შედის მორალური ელემენტი, იმდენათ ეს კანონი უფრო მგრძობიარე ხდება. წმინდა ეკონომიურ თუ ტექნიკურ სფეროში შესაძლოა ერთი უარყოფითი მომენტი, მეორე—დადებითი მომენტით გააბრთილო, მაგრამ ამასვე ვერ იტყვი მორალურ სფეროზე. აქ ერთი უარყოფითი მომენტის გასაბრთილებლათ საჭიროა მთელი რიგი დადებითი მომენტების. მაგალითად, უარყოფითი შედეგი (ზარალი) ერთი ცუდი ეკონომიური ოპერაციისა, მეორე მოხდენილი ოპერაციით შესაძლოა სავესებით ანაზღაურებულ იქნას და კიდევ მეტიც. მაგრამ ვანა შესაძლოა მორალური რეაბილიტაცია იმ პირისა, რომელმაც ზნეობრივი თვალსაზრისით ყოველათ შეუწყნარებელი საქციელი ჩაიდინა? არა. და თუ ეს შესაძლებელი შეიქნება მხოლოდ ქაშა ვითარებაში შესაფერისი ხანგრძლივი დადებითი პროცესის შემდეგ. სწორით ამ კანონის თვალსაზრისით გვინდა გავაშუქოთ სომხეთსა და საქართველოს შორის ამტყდარი ომის შედეგები. სომხებს ამიერ-კავკასიაში მთლიანი ტერიტორია არა აქვთ. ისინი უმთავრესათ შერეული არიან სხვა ტომის ხალხში. ეს შერეული მოსახლეობა მეტათ არა ხელსაყრელ პირობებს ქმნის სომხებისათვის:

საქართველოს სოც.-რევ. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 21 დეკემბერს დღის 12 საათზე გარდაიცვალა ხალხისთვის თავდადებული რევოლუციონარი ძვირფასი ამხანაგი  
**ივანე ფარნას მე ყორღანია.**  
 დასაფლავება მოხდება 25 დეკემბერს, ოთხშაბათს, სოფელ ცაიშში.

საქართველოს სოც.-რევ. პარტიის ცაიშის ორგანიზაცია ღრმით დამწუხრებული აუწყებს ამხანაგებს თავის ხელმძღვანელ დაუვიწყარ ამხ.  
**ივანე ფარნას მე ყორღანია**  
 გარდაცვალებას.

საქართველოს სოც.-რევ. პარტიის დიღომის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დაუღალავი მუშაკის რევოლუციონარის, ამხ.  
**ივანე ფარნას მე ყორღანია**  
 გარდაცვალებას.

საქ. სოც.-რევ. პარ. კახათის ორგანიზაცია აუწყებს ამხანაგებს ძვირფას ამხ.  
**ივანე ფარნას მე ყორღანია**  
 გარდაცვალებას.

საქ. სოც.-რევ. პარტიის დარჩილის ორგანიზაცია აუწყებს ამხანაგებს დაუვიწყარ ამხ.  
**ივანე ფარნას მე ყორღანია**  
 გარდაცვალებას.

**ქართული**  
**ლბგარია.**  
**მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ**  
**ბილეთების შეკენას.**

**ა. თბილისი, დეკემბრის 24.**  
**შეთანხმების** ოქტომბრის გადატანდენციები. ტრიპლემ რუსეთი სამოქალაქო ომის აღში გახვია. სამკვდრო სასიცოცხლო ომი და ბრძოლა სწარმოებდა არა პარტი სხვადასხვა მოწინააღმდეგე სოციალურ კლასებს შორის, არამედ იგი სწარმოებდა აგრეთვე დემოკრატის სხვადასხვა და სხვანაირად მოაზროვნე ნაწილებს შორის ერთი მთლიანი დემოკრატიული და სოციალისტური ფრონტი გაირღვა. ანარქიისა და ტერორის რეჟიმის წყალობით რუსეთის დემოკრატის თავს დაატყდა საშინელი უბედურებანი და თვით რუსეთი დაიშალა, დაიწილა. რევოლუციის გამარჯვება გერმანიაში

და ტრიუმფატორ-იმპერიალისტთა გეგმები რუსეთში უყენებენ რუსეთის დემოკრატის ახალ მიზნებს, მოითხოვენ მისგან იშვიათ პოლიტიკურ უნარსა და ტაქტს.  
 იმ დროს, როდესაც ევროპაში რევოლუცია დაიწყო, როდესაც გამარჯვებული იმპერიალიზმი ძალებს იკრებს სოციალიზმთან გენერალური ბრძოლისათვის, არის თუ არა მიზანშეწონილი სოციალისტებს შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა და ომი, რომელიც რუსეთში დღესაც სწარმოებს—აი როგორ სდგას დღეს საკითხი.  
 აშკარა ამ საკითხზე კეშმარტი რევოლუციონარისათვის ორი პასუხი შეუძლებელია. რეპუციისა და

მათი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ანტი-კავკასიის ტერიტორიაზე თითქმის შეუძლებელი ხდება. სომხის დემოკრატია, რასაკვირველია, იოლათ და კარგათ მოთავსდება ქართველ დემოკრატისთან, რადგან ყველა ერის დემოკრატის ინტერესები სოლიდარულია და რადგან დემოკრატიული მოქმედი უფრო ფართო და მაღალია ეროვნულ მომენტზე. მაგრამ შოვინისტებისთვის სულ სხვაა საქრო, — მოუყაროს სომხებს თავი. შეუქმნას. მას მთლიანი ტერიტორია, შემოფარგლოს ის გარდაუვალი ზღუდეებით და შემდეგ ეგონისტური მიზნებისათვის ახალი შეტევები იწყოს. ამ ნიადაგზე გამოგვიცადეს ჩვენ ხსენებულმა შოვინისტებმა ომი. ეს ომი მათ მუხანათურათ დაიწყეს. კულტურული საშვალებით სადავო კითხვების გადაწყვეტა მათ არ მოელოდა. ომის შედეგები მათ კარგათ აქვთ წარმოდგენილი. ეს შედეგები მათი შოვინისტური პოლიტიკისათვის მეტად ხელსაყრელია და ამიტომაცაა, რომ ისინი ასე გაბედულათ და დაუზოგავათ გვეტყვიან. ერთა შორის სოლიდარობის დამყარება და განმტკიცება მათი ბატონობის მოსპობა იქნება, შუღლი და მტრობა კი აბატონობას ასულდგმულებს. ამიტომ ყველა ერის შოვინისტები ცდილობდნენ და ცდილობენ ერთა შორის შუღლი რაც შეიძლება გააჩაღონ. ამისათვის ეროვნულ იდეათა მოურიგებლობაზეც გველაპარაკებინ. უკანასკნელ აზრის განმტკიცებას ყველაზე უკეთესათ ომი უწყობს ხელს. ომი ბადებს დამარცხებულ ერში რევანშის სურვილს. ეს სურვილი სხვა და სხვა პირობებში შესაძლოა სხვა და სხვა ინტენსივობის იყოს. შესაძლოა მისი პინაპულმდე დასვლა და მაქსიმუმამდეც ასვლა. მთავალიათ, თუ მრავალრიცხოვანი და ყოველ მხრივ ძლიერი ერი დამარცხებს პატარა ერს — ეს ფაქტი უკანასკნელში ვერ გამოიწვევს რევანშის ძლიერ სურვილს, რადგან ძლიერი რომ სუსტს ამარცხებს, — ეს ბუნებრივია და პატარა ერის თავმოყვარობა ამ შემთხვევაში ნაკლებათ აღახება. ეს არ ითქმის პატარა ერების შეტაკების შესახებ. აქ დამარცხებულ ერის რევანშის სურვილი მაქსიმუმამდე აღწევს. ჩვენსა და სომხების დამოკიდებულებაში ამ მოვლენას კიდევ სხვა გარემოებანი უწყობენ ხელს. ერთი ასეთ გარემოებათაგანია გრძნობა იმისა, რომ სომხები ჩვენში მოსული ელემენტებია, განზრახ ჩამოსახლებული სხვა და სხვა მიზნებით თვითმპყრობელობის მიერ. ქართველი ერი ისტორიაში კეთილშობილ და რაინდ ერთაა ცნობილი. მართლაც, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, ქართველ ხალხს მუდამ კეთილი განწყობილება ჰქონდა მეზობელ ერებთან.

ბევრჯერ აუხარებია საქართველო სპარსელთა და ოსმალთა ურდოებს, მაგრამ ქართველთა რაინდობას და კეთილშობილებას სპარსელები და ოსმალები ყოველთვის სცნობდნენ და აღიარებდნენ. კერძოთ სომხებსა და ჩვენს ურთიერთობაში, როგორც უნდა იყოს, მათი ურთიერთობაში, არასოდეს მთელი საუკუნოების განმავლობაში არავითარი მნიშვნელოვანი გაუგებრობა არ ყოფილა. 1905 წ. სომხ-თათართა ურთიერთ ქოლტის დროს ქართველებმა დიდი როლი ითამაშეს მათ შერიგებაში. ესლც ომის დროს ბაქოში და სხვაგან ქართველები დიდ მხრუნველობას იჩენდნენ სომხებზე და ძლიერ ბევრი მათგანი სიკვდილს გადაუარჩინათ, თავიანთ კალთის ქვეშ დაუფარავთ, თუმცა ასეთ შემთხვევებში თვით იგდებდნენ თავს საფრთხეში.

ასეთი კეთილი განწყობილება იყო

წარსულში ჩვენსა და სომხებს შორის. ეს კეთილი განწყობილება, ურთიერთისადმი ნდობა ერთა ვითარებამ შექმნა. ეს ნდობა დიდი განძი იყო ჩვენი ურთიერთობისათვის. ვიწოდებ, რომ ეს განძი არ დავკარგოთ. ომი კი, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, რომელიც ჩვენ და სომხები ვიმყოფებით, მეტათ ძლიერი მახვილია ამისათვის.

ერთი შემცდარი ნაბიჯი ხნებორივ სფეროში, ნდობის სფეროში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თითქმის აქარწყლებს, ან თვალსაჩინოთ ამკრთალებს წინა დადებით მომენტებს. თუ უარყოფითი მომენტი ძლიერია, მაშინ წინა მომენტების შესახებ „თითქმის“ აღარ ითქმის. ავიღოთ სულ უბრალო მაგალითი პრაქტიკული ცხოვრებიდან. ორი მეგობარი დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს განუსაზღვრელი პატივისცემით და ნდობით ვაყრობიან. ერთმა მათგანმა შეგნებულათ ყოველათ უხნეო ნაბიჯი გადადგა თავისი მეგობრისადმი მიმართული. ეს ფაქტი საქმარისია, რომ მათ შორის ძველი განწყობილება დაირღვეს. დარღვეულის აღსადგენათ კი დიდი დრო და განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობებია საჭირო ყოველივე ამით ჩვენ ის გვინდა დავამტკიცოთ, რომ სომხ-ქართველთა ომი შექმნის ერთნაირ ფსიხოლოგიურ კრიზისს მათ ურთიერთობაში. ეს კრიზისი მით უფრო ხანგრძლივი და მწვავე იქნება, რამდენათ მწვავე მსოფლიო ომის თვით მიზეზი ამ კრიზისსა — ომი. ეს გარემოება კი ცუდი პირობა იქნება ჩვენი მეზობლური ცხოვრებისათვის, ამ მხარეს ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველივე საშვალება უნდა ვიხმაროთ დავუმტკიცოთ სომხის დემოკრატისა, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ არაფერი არა გვაქვს, რომ ჩვენ მათ არ ვებრძვით და არც შეგვიძლია ვებრძოლოთ, რადგან ჩვენში დემოკრატია მდგომარეობის ბატონ-პატრონი და მის ბუნებას სრულებით არ შეადგენს აგრესიული პოლიტიკა. ამისთანავე უნდა ვეცადოთ, რომ, თუ ომი ერთხანს გაგრძელდა, ის რაც შეიძლება კეთილშობილურათ ვაწარმოოთ. ეს აზრი ზოგიერთებს შესაძლოა პარადოქსათ მოეჩვენოს — კეთილშობილური ომი წარმოუდგენელიაო. მართალია, ომი თავისთავით არაა კეთილშობილური, მაგრამ წარმოება მისი კი შეიძლება იყოს კეთილშობილური.

ჩვენ მომავალზე უნდა ვიხრუნოთ და ვხლავე ისეთი ნაბიჯები გადავდგათ, რომელიც მოუშვადებს ნიადაგს ჩვენ და სომხებს შორის კეთილშობილურ განწყობილების აღდგენას. ომი ოფიციალურათ იწარმოოს, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევებში ჩვენ განსაკუთრებული, ქართველური თავაზიანობით უნდა მოვეპყრათ სომხებს და მით დავამტკიცოთ, რომ კრიტიკულ მომენტებშიც არ ვკარგავთ ჩვენ კეთილშობილებას. ასეთი მოქცევათ ჩვენ ვაჩვენებთ კაცობრიობას, რომ ევროპის ერთა ნაკლები კულტურისანი არც ჩვენ ვართ.

ეს გარემოება ბევრათ შეუწყობს ხელს იმ ფსიხოლოგიური კრიზისის განულებას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ.

დილიანი.

**† აბ. ვანო უორდნიას ხსენება.**

22 დეკემბერს ზუგდიდელ ამხანაგებმა პირდაპირი მავიულით მეტად სამუხარო ამბავი გვაცნობეს. გადმოგვცეს, რომ 21 დეკემბერს ღამის 12 საათზე სოფ. ცაიში გარდაიცვალა აბ. ვანო უორდანი.

ვინც იცნობდა უორდნიას როგორც პრაქტიკოსს, ვისაც უნახავს

მისი მუშაობა პრაქტიკულ-პარტიულ სფეროში, რომელიც ხშირად თავდავიწყებამდე მიდიოდა, მას არ შეუძლია თავისი მწუხარება და გულის ტკივილი არ გამოსთქვას მისი ასე უდროოდ და მოულოდნელ დაკარგვის გამო. ბევრი ინტელიგენტი კრიზისის სოფელს, პროვინციას და მუშურება ქალაქად, თუ გინდ იქ სულიერ და ფიზიკურ შემშლის გარდა არა მოელოდეს რა. აბ. უორდანი კი სტოებს ქალაქს, მინდის თავის სამშობლო სოფელში და მთელი თავისი არესებით ეძლევა და ეწევა სოფლურ-გლეხურ ცხოვრებას. და მართლაც, აბ. უორდანიას შესახებ ჩვენამდე მოდიოდა ხმები, რომ ის მუშაობს, მოქმედობს. სადაც კი იყო საქრო მისი ენერჯია, ცოდნა და გამჭრიახობა აბ. ვანოც მიუხედავად მისი ფიზიკურად შეუძლებლობისა (რამოდენიმეჯერ იყო დაჭრილი ომში) ახალ-გაზღვრი გატაცებით ეძლეოდა სოფლის გათვითცნობიერების საქმეს. ასეთი ცნობები გვქონდა ჩვენ მის საერობო არჩევნებში მუშაობის შესახებ. ჩვენ ვიცოდით, რომ აბ. უორდანი აღე-ღამ სოფლიდან-სოფელში დაუღალავად მუშაობდა, ეწეოდა პრობაგანდა აგიტაციას სადაც აბ. ვანო მუშაობდა, მოქმედობდა იქ, დარწმუნებული ვიყავით, ჩვენი პარტიული ფორტი უზრუნველყოფილი იყო; აი ასეთი ამხანაგი დავკარგეთ, ვანო აღარ არის, ის გარდაიცვალა.

ამ ბოლო დროს ჩვენ პარტიას თითქოს განგება უწყობდა.

ჯერ არც კი შეგვზორობია ცრემლები აბ. კიზირიას უდროოდ გარდაცვალების გამო და აი კიდევ მოულოდნელი უეცარი სიკვდილი აბ. ვანო უორდანიასი.

როდესაც დადგა დრო ნამდვილი საქმიანობის, როდესაც საქროა — პარტიამ მოიბიძგა მოახდინოს მომუშავე ამხანაგებისა — აი ამდროს ასეთ მოკლე ხნის განმავლობაში დაკარგვა ორი პროფესიონალ-პარტიულ მუშაკისა — დიდი დანაკლისია ჩვენთვის.

ვანო.

**ახალი აზრები.**

⊖ სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ავლაბარში, ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა № 1) დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ავლაბრის რაიონის წევრთა საერთო კრება. პირველ რიგში დასმულია საკითხი თანამედროვე მომენტის შესახებ. მოხსენებას გააკეთებს აბ. ლეო შენგელაია.

⊖ ვაზეთი ფრონტზე. ქალთა წრემ დადგინა შეწირული ვაზეთები ფრონტზე საჩქაროთ მიწოდოს ჯარის კაცებს.

⊖ ვან. მინისტრის განკარგულება. განათლების მინისტრმა განკარგულება მისცა სახალხო განათლების ინსპექტორს უმარკო კონვერტები არ გაგზავნოს სახლგარ გარეთ.

⊖ ძარცვა. 20 ქრისტეშობისთვის ღამით ა. ვარაბერიშვილის ბინაზე (ცაგვერის ქუჩაზე) შევიდა რამდენიმე შეიარაღებული პირნი და 27,000 მან. საღირალი ნივთები გაიტაცეს.

⊖ დაპატიმრება. თბილისის მილ. უფროსის განკარგულებით დაპატიმრეს ო. ა. გუერქოვი, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირი.

⊖ რეზოლუცია. თბილ. ქართველ ვაქარ-მრეწველთა კავშირის საბჭოსი შესახებ საქართველო-სომხეთის ომისა:

„საქართველოს სინდისი პირწინდა და უმწიკვლო წინაშე კაცობრიობისა და ისტორიისა. საქართველოს მთავრობამ მშვიდობის ძიებაში სავსებით ამოაწყურა საშვალება-

ნი დავის გადაწყვეტისა ძმური შეთანხმებით და მეზობლური მორიგებით. მაგრამ, სომხეთის მთავრობამ არ ისურვა ხელის ჩამორთმევა, არც დავის გადაწყვეტა საერთაშორისო სამართალში. მან ვერაგულათ მოეპარა საქართველოს ზურგიდან და დასცა მახვილი.

ქართველ ვაქარ-მრეწველთა საბჭომ მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და დადგინა, რომ მთავრობას ბოლომდის მიყვებიან სამშობლოს დაცვის საქმეში“.

⊖ დღეს 24 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ექ. ბურჯიშვილისა ჰიგიენა 2) ექ. მისურაძისა ანატომია.

⊖ მოპირგებელ კომისიაში. მოპირგებელ კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე დადგინა ასოთ ამწყობთ ჯამაგირები მოუმატონ. ვინც 400 მანეთამდე იღებს უნდა მოუმატონ 30%, ვინც 400 მან. მეტს იღებს 180 მან.

⊖ დაპატიმრება. გუშინ დილას 9 საათზე ქალაქის საბჭოს წევრები გ. ი. ხატისოვი და ა. აბეგანიცი დააპატიმრეს.

⊖ თვითმკვლელობა. შაბათს 21 ქრისტეშობისთვის კავკასიის ბანკის ბინაზე მოსამსახურე ფ. პ. საგავეიანიცა რევოლუციონერი თავი მოიკლა.

⊖ ტყვეების გაგზავნა. სახელდრო უწყების განკარგულებით ის ტყვეები, რომელნიც დაღმდე თბილისში მოიყვანეს გაგზავნეს ქუთაისში. ამიერიდან ფრონტიდან ჩამოყვანილ ტყვეებს პირდაპირ ქუთაისში გაგზავნიან.

⊖ ანდრო დადიანის დასაფლავება. კვირას 22 დეკ. ბრძოლის ველზედ მოკლული, 1 ცხენოსანი პოლკის როტმისტრი ანდრო დადიანი დასაფლავეს, გამოსვენებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

⊖ სანიტარული რაზმი. საქროა 200 სანიტარი მოხალისენი. სასურველია ინტელიგენტები. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება: ქსენიის ქუჩა, № 10.

⊖ მეომართათვის. პარლამენტის წევრმა აბ. ბუზიაშვილმა ფრონტზე მყოფ მეომართათვის 10,000 ცალი პაპირისი შესწირა.

⊖ ბურჟუაზიულ წრების დაბეგრა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ომის სასარგებლოდ საქართველოს ბურჟუაზიულ წრების დაბეგვრის საკითხს იხილავს.

**სამგლომირი დაკუთხა.**

დიდათ დავაგაშუხრა ძვირფას ამხანაგ ვანო უორდანიას გარდაცვალებამ.

სოც.-რ. ქვალონის ორგანიზაცია.

ღრმით დავაგაშუხრა დაუფიწყარ ამხ. ენერჯიულ პარტიულ მუშაკის უდროოთ გარდაცვალებამ.

სოც.-რევ. ანაკლიის ორგანიზაცია.

ძვირფას ამხ. ვანო უორდანიას გარდაცვალებამ დიდათ დააშუხრა ყველა ჩვენი ამხანაგები.

სოც.-რევ. ჩხოროწყუას ორგანიზაცია.

ასეთივე შინაარსის ღებუებში მიიღო რედაქციამ: კორცხელის, ნარაზენის, ნაფორჩხაის, აბასთუმანის, ხეთას და სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან.

ასეთივე შინაარსის ღებუებში მიიღო რედაქციამ: კორცხელის, ნარაზენის, ნაფორჩხაის, აბასთუმანის, ხეთას და სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან.

**შპრის დასაბრკობისათვის კონკრეტული ზომების აღება**

საქართველოს პარლამენტმა 20 დეკემბერს შემდეგი კანონი მიიღო:

1. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ ან და გარეშე მტერს აქტიურ დახმარებას გაუწევს იარაღის, ფულის თუ ცნობებით, ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, ჩამოერთმევა მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ.

2. ეს კანონი შედის ძალაში დეკემბრის ცხრიდან.

**საპ. სოფ. რევ. პარტიის მიერ პარტიული**

18 დეკემბერი.

საღამოს სხდომა, გაგრძელება კამათისა ფრაქციის წარმომადგენლის მოხსენების შესახებ.

აბ. გ. მამამთავრიშვილი: როცა ჩვენ ვაფასებთ ფრაქციის მუშაობას, მით ჩვენ ვაფასებთ ც. კ., რომლის წევრებიც შედიან ფრაქციის შემადგენლობაში.

ფრაქციის მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს კანონ-პროექტების შექმნაში, შეკითხვების მთავრობისადმი შეტანაში და პარლამენტში გამოსვლებში.

რაც შეეხება პირველს, უნდა თქვას, რომ ჩვენს ფრაქციას არავითარი კანონ-პროექტი არ გამოუმუშავებია და არ შეუტანია პარლამენტში; ამის მიზეზი ესერულ შეზღუდვებათა სისუსტე კი არ არის, არამედ ფრაქციის შედგენილობის სისუსტე. საშავიეროთ, კომისიებში მუშაობაზე მივითითა ამხან. ლ. შენგელაიამ, მაგრამ კომისიის მუშაობაც რომ არ იყო დამაქყოფილებელი, ეს აბ. აბ. კაკაბაძემ აღნიშნა უკვე. მომავალში აგრარული კანონ-პროექტის შეტანას გვიპირდებიან პარლამენტში, ჩვენ ამის იმედით ვგაქვს, ეს ასეც უნდა მოხდეს, მხოლოდ ფაქტია ის რომ აქამდე კი არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ.

არც შეკითხვები შეუტანია ფრაქციას, თუმცა სამისო მასალა ბევრი იყო, ხოლო საქროება დიდი. აი თუნდაც, მაშინ, როდესაც ერობის არჩევნებში ავიწროვდნენ ჩვენს ამხანაგებს, ფრაქციამ მაშინაც ვერ გასცა ამას სათანადო პასუხი. მაშინაც კი, როცა სხვებს შექონდათ შეკითხვები, ჩვენი გამოსვლები უფერული იყო.

შემდეგ ის არ ეთანხმება იმ ამხანაგებს, რომელთაც საქროდ მიანიით საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის გამოსაცოცხლებლოდ საუკეთესო ძალების თვის მოყრა ცენტრში და ამბობს, რომ პირიქით ფრაქციის წევრები, რომელნიც ახლა მოაპოვებინ პარლამენტში ვალდებულნი არიან გასწიონ პარტიული მუშაობაო.

აბ. სამ. მარჯველაშვილი: დისციპლინა აუცილებელ საქროებას წარმოადგენს პარტიის ცხოვრებისათვის და ამ მხრივ ფრაქციის ცხოვრებას ღებუებები აქვს: ხშირად ფრაქციის წევრი არ ემორჩილებოდა ხოლმე ფრაქციის დადგენილებას, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ ასრულებდა მათ; ეს უნდა მოიხსნას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი მოვლენა ფრაქციის მუშაობაში: ეს არის ხშირი თავის შეკავება, ეს მეტად მავნეა, ვინაიდან ერთგვარ გაუგებრობას ქმნის პროვინციელ ამხანაგებში.

რაც შეეხება გამოსვლებს, ზოგი მათგანი მართლაც სერიოზული იყო; საერთოთქი უფერული. ენება



კერძო გამოსვლებს და ამბობს, რომ საქირია გარკვეული დამოკიდებულება (და არა თავის შეკავება) პარლამენტში დასრულ საქონებისადმი და სასტიკად დაცვა დისციპლინისა.

**ამხ. მ. ფარიაშვილი:** ჩვენი ფრაქციის მუშაობაში, ცხადია, ნაკლები იყო და ამაზე მიუთითებდნენ აქ ამხანაგები; მაგრამ თუ ჩვენ გვინდა მსჯავრი დავსდეთ მას, დროსა და სივრცის გარეშე ჩვენ დავაყენებთ მას, ხოლო ჩვენ თუ ვაფიქვანდებით მუშაობის პირობებს, თქვენ დაინახავთ, რომ ფრაქცია აქ მინცა და მინცა არაფერ შუაშია. აქ მიუთითებენ იმაზე, რომ საქირია აქვე შევითხვეთ შეტანაო; ეს მარტოა და ისე; ასეთ საქირიანებს თვით ფრაქცია გრძობდა ხანდახან, მაგრამ ფრაქცია ჩვენი თანამშრომლობის მთავრობასთან არ გვაძლევდა შედეგებს, ამ შემთხვევაში თავისუფლად გვემოქმედნა.

ამის შემდეგ ეხება მუდმივი ჯარის საკითხთან ფრაქციის დამოკიდებულებას და ამბობს, რომ ფრაქცია მოიქცა მიზანშეწონილად ამ საკითხის განხილვისას.

**ამხ. ლ. შენგელაია:** აქ იმ ამხანაგებს, რომელნიც აკრიტიკებენ ფრაქციის მუშაობას, ავიწყლებათ, თუ რა ცუდ პირობებში ხდებოდა ეს მუშაობა. კერძოდ: მიგვითითებენ ვერულობაზე. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო ვა სოციალისტურ პარტიასთან პლატფორმასთან. ასე რომ განსხვავებული პოლიტიკური „მეს“ გამოჩენა ყოველთვის არც შეიძლება. ხოლო რა ასეთი განსხვავება იყო და რა გვიხდებოდა გამოსვლა, ჩვენი მოსვლები ხშირად კარგი იყო, ყველ საკითხის განხილვის დროს წარამარა გამოსვლა, როგორც ეს ზოგიერთი ფრაქცია ხანდის მომენტში, ჩვენ არ მიგვანდებდა ურველად და საქირად.

რაღაც შეეხება შევითხვეთა შეუწყობლობას, მთავრობაში წარმომადგენლის ყოლა, ჩვენ არ გვისპობდა საშვალეებს, არამედ სხვა გარეობა იყო: შევითხვეთისათვის, სათაო საბუთები, მასალები საქირად, ჩვენთვის ამონაგებს არ მოუგებიათ; დაუსაბუთებელი შევითხვეტანა, როგორც ამას სხვა ზოგნი პარლამენტში, სერიოზული ფრაქციისათვის ყოველდღიურად იქნა.

ამხ. იოს. გობეჩია: არსულ ამბობს ბოლო სიტყვას: ფრაქციის მუშაობა მე დავუბრუნე მსოფლიო ომს და მისგან შევეულ საერთაშორისო კონიუქტურას და ის დასკვნა გამოვიტყვე, რომ საქირია არა ვიწრო პოლიტიკის წარმოება, დ ფართო დემოკრატიული ფორმის დაცვა; ამხანაგებო, შენებები რომელიც გამოვიტყვე, მართალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღიარებენ ვიპარტიული პოლიტიკის საქირის, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ თუ საფრთხის დროს ასეთი პოლიტიკის წარმოება მე შეუძლებელი იქნებოდა.

ქვესი თვის განმავლობაში ჩვენ მთლიანად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გავით; პირველ ხანებში თუ ვიყავით, ამხანაგების ქვეყნის ჩამოსვლის შემდეგ მათ მოგვემბატა, მაგრამ ჩვენ უწინასა პოლიტიკისა არ შეგვიშვებია ჩვენს გამოსვლებს ვერტი, ხშირად უხერხულ რეობაში ვვარდებოდით, მაგრამ თვისი მიზეზები ჰქონდა; კიაში ჩადგომა ჩვენ არ მიშვებია საქირად და თუ შექვეყნასს ვსთქვამდით, ჩვენ დავემორჩილებდით ამხ. გ. მამამთავრი-

შვილს და ამბობს, რომ კანონპროექტების შექმნა ტენიკურად და არსებითად შეუძლებელი იყო.

მთავარი საკითხის, — აგრარულის, — კანონპროექტი ფრაქციამ შეიმუშავა და ის მზათ არის ამ საკითხის გამო ბრძოლა პარლამენტში მიიღოს.

შევითხვებს რაც შეეხება — მასალების უქონლობა არ გვაძლევდა შედეგებს ისინი შეგვეტანა, ხოლო ვეშაპელის შევითხვების მსგავსად — ფრაქციის პრესტიჟს მხოლოდ სცემს, და, ცხადია, ჩვენ ასე ვერ მოვიტყვევოდით. რაც შეეხება ამხანაგების შევიწროებას, ჩვენ ყოველს ასეთ შემთხვევაში ზომებს ვებულობდით და ამხანაგის მდგომარეობას არსებითად ყოველთვის ვაუშვავდებდით.

დასასრულ ამას ვიტყვი: ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს, მაგრამ საფრთხე იმაშია, რომ გზები ბევრი აღმოჩნდნენ, და თუ ჩვენ ერთი, მტკიცე გზა გამოვინახეთ, ჩვენ უზრუნველყოფით ჩვენს მომავალს.

გვახსოვდეს, რომ მთლიანობა პოლიტიკისა არის გარანტია ჩვენი დიდი მომავლისა.

ამის შემდეგ **ამხ. ლ. შენგელაიას** შემოაქვს წინადადება გამოტანილ იქნეს რეზოლიუციები როგორც ფრაქციის, ისე ც. კ. შესახებ თანხმად წინადადის დადგენილებისა.

**ამხ. გ. მამამთავრი** შეიღოს საქირად მიანიხი ერთი რეზოლიუციის გამოტანა ორივეს შესახებ. **ამხ. პ. ქავთარაძე** იცავს ლ. შენგელაიას აზრს.

**ამხ. გ. მამამთავრი** შეიღოს წინადადება უარყოფილია. რეზოლიუციებს ადგენენ ამხან. ლ. შენგელაია, გ. მამამთავრი შეიღოს, ილ. თევზაძე, ვს. კახანაძე, და სხვ. დადგენილია: რეზოლიუციის გამოტანა გადაიდოს და მიენდოს ავტორებს შეთანხმდნენ რეზოლიუციაში. დასასრულ პარად საკითხებისთვის განცხადებას აკეთებენ **ამხ. ამხ. გ. ნათაძე, ივ. გოგოლაშვილი, მ. ფარიაშვილი, ივ. ბახტაძე** და სხვ. იხილეთ.

**კომპარატივის ნაყოფიერი სახეობა.**

დეკემბრის 15 მოხდა ყრილობა ზედამხედველი საბჭოსი „ამიერ-კავკასიის“ კავშირთა კავშირისა. — წარმომადგენლები იყვნენ მხოლოდ საქართველოს მიწა-წყალზე მომუშავე კოლმეურთაგანისა, გარდა ერთისა — ერევნის გუბერნიიდან, ყრილობა გაგრძელდა სამ დღეს და განიხილა მრავალი საყურადღებო საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურთა ცხოვრების განვითარებისთვის ჩვენში. სხვათა შორის, ყრილობამ ჩვენი ამხანაგების მოთხოვნით ხანგრძლივი კამათის შემდეგ აირჩია კომისია, რომელსაც ევალება ყოველ მხრივ განიხილოს საკითხი „ამიერ-კავკასიის“ კავშირთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკის კავშირად გადაკეთებაზე. შემდეგ კი მოხსენება წარუდგინოს რეზოლუციითა არაჩვეულებრივ ყრილობას, რომელიც მოწვეული იქნება ამ კითხვისათვის არა უგვიანეს ორი თვისა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თ. ლლონტი. თავმჯ. ამხ. გ. დაფქვიაშვილი, როხლინი, მდივნად ანაფერძიძე.

საბჭომ განიხილა აგრეთვე საკითხი მოსკოვის სახალხო ბანკისა და დიდი კამათის შემდეგ დადგინდა: დაარსდეს საქართველოში ქართული სახალხო ბანკი, რომლის კომისიაში არჩეულ იქნა თ. ლლონტი, გამალფი და სხვ.

**პარტიული სხოვრება.**

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტში

არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ლეო შენგელაია, ილია ნუცუბიძე, ივ. გობეჩია, იოს. აბაკელია, იოსებ გობეჩია, ს. ჩემოღანოვი, კ. ჯავრიშვილი, გ. ნათაძე, ილია თევზაძე, მ. ფარიაშვილი და ილ. კახანაძე.

მათი აქტიურობით მ. ქანიშვილი და ა.

ყვირას, 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა პირველი სხდომა ცენტრ. კომიტეტისა.

დღიურ წესრიგში დასმული იყო: 1. საკითხი კანდიდატების შესახებ, 2. პრეზიდიუმის არჩევნები და სხვ.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმში, რომლის რიცხვი, კრების დადგენილების თანახმად პირით განისაზღვრება, ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ლეო შენგელაია, ივ. გობეჩია და ილია ნუცუბიძე.**

კომიტეტის ჩვეულებრივი კრებები მოხდება ყვირას, დილის 12 საათზე პარტიულ ბიუროს ბინაზე.

პრეზიდიუმს დაევალია შორივ სხდომისათვის წარმოადგინოს მომავალ პარტიულ მუშაობის გეგმა.

შემდეგ გარჩეულ იქნა სხვა და სხვა მცირე საკითხები. კრება დაიხურა 9 1/2 საათზე.

**ავლაბრის სოხ.-რავ. გუფათა პოლკისივი პიკაბ.**

ყვირას 22 დეკემბერს, ავლაბრის მუშათა კლუბის დარბაზში მოხდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ავლაბრის მუშათა კოლექტივის წევთა კრება. დღიურ წესრიგში დასმული იყო საკითხი „ზნაშია ტრუდას“ ჯგუფთან დამოკიდებულების შესახებ. კრების თავმჯდომარე არჩეულ იქნა ახ. კაკაბაძე.

„ზნაშიას“ ჯგუფის პოლიტიკაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა **ამხ. ლეო შენგელაიამ.** მომხსენებელმა დაახასიათა ზნაშიას ჯგუფის მერყევი ტაქტიკა და აუარებელი ფაქტები მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ ზნაშიას ჯგუფი ჩვენს პარტიაში ყოველთვის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა, ხოლო, ამბობს მომხსენებელი, რაც ჩვენი დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ისინი „გამე-

მარცხენდენ“, მაგრამ ვინც დღევანდელ პირობებში თავის მოღვაწეობის აღფა და ამეფათ სოციალისტურ მთავრობასთან ბრძოლას სთვლის, ის მემარცხენე კი არა, უკიდურესი მემარჯვენეა, რეაქციის ემსახურება.

მომხსენებელს მოყავს მეოთხე და მეექვსე პარტიული ყრილობის რეზოლიუციები და ამჟღავნებს ზნაშიას ჯგუფის ორტოფულ პოლიტიკას.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე საქართველოს მთავრობის პოლიტიკას და ამბობს: იმ დროს, როდესაც ზნაშიას პოლიტიკის მიმდევრები რუსეთში კლდეტებთან თანამშრომლობენ, აქ საქართველოში ჩვენს მემდევრებთან თანამშრომლობა არცხვენიოთ არ მოიხსენიება, ჩვენ დანეტრესებელი ვართ დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცებაში და დამოუკიდებლობის დაცვაში და რამდენათ მენშევიკები ამ მიზნებს ემსახურებიან, ჩვენ მთელი ჩვენი ძალდონით მათ მხარს დაუჭერთ. ასეთივე ენერგიით ვებრძვით და კვლავ შევებრძობებით მათ სოციალური საკითხების გადაჭრის დროს. ჩვენ ვიბრძვით მშრომელი ხალხის მაქსიმალური ბედნიერებისათვის, მაგრამ გვინდა ეს ბრძოლა ვაწარმოოთ ისე, რომ მაქსიმუმისათვის ბრძოლაში არ დავკარგოთ პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ ვსდარაჯობთ რევოლიუციის პოლიტიკურ მონაპოვართ და ვიბრძვით მის სოციალურ გაღრმავებისათვის.

მუშები მეტათ კმაყოფილი დარჩენ მოხსენებით და გამოსტქვეს სურვილი, რომ კრებები ხშირათ იმართებოდეს.

შემდეგი საკითხის, **თანამედროვე მომენტის** განხილვა კრებამ ვერ მოასწრო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ კრება ადგენს, დაინიშნოს სამშაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე კრება, რომელზედაც უნდა განხილულ იქნეს: **თანამედროვე მომენტი.**

დასასრულ კრება გამოსტქვეს სურვილს, რომ ავლაბრის რაიონის დროებითა კომიტეტმა უფრო ენერგიული ზომები მიიღოს კრებებზე ყველა წევრების დასასწრებათ.

**დამსწრე.**

**საზღვარ-გარეთი**  
(საქ. დეპ. საავ.)

**გერმანიის მთავრობა და სპარტაკის ჯგუფი**

**კოპენჰაგენი,** 12 დეკ. შეიღმენმა ვახუშტის წარმომადგენლებს აუწყა, რომ გერმანიის მთავრობას სპარტაკელების განადგურება აქვს განზრახული. „ესენში“, 15 დეკ. კრუპის ქარხნების დირექტორმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ქარხნები მოკავშირეთა ჯარმა დაიკავოს.

**გერმანული პრესა,** 20 დეკემბერი. ბრუსის შინაგან საქმეთა მინისტრს გლმერფელში თათბირი ჰქონდა რეინის საკითხის შესახებ: პარლამენტის მომხრეებთან, ქალაქის საბჭოს წევრებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დელეგატებთან. თათბირმა გადასწყვიტა, რომ რეინის მიწები უნდა დარჩეს გერმანიის და ყველა უნდა შეებრძოლოს იმ ტენდენციას, რომელიც მიცართულია ამ მიწების გერმანიისგან ჩამოშორებაზე.

ცენტრის პარტიის მიტინგზე ესენში, ცენტრის პარტიის დეპუტატმა ბელმა პროტესტი განაცხადა რეინის მიწების საფრანგეთთან შეერთების, ან და მის ცალკე სახელმწიფოთ გამოყოფის ცდაზე, რეინის მიწები გერმანიის უნდა დარჩეს.

განათავისუფლეს ბრუსის ყოფილ მთავრობის განკარგულებით სოციალისტურ ტენდენციებისთვის დაპატიმრებული ბერლინის უნივერსიტეტის ლექტორი ლეო არენსი. მას უბოძეს პრაფესორის ხარისხი.

ცნობილი გერმანული ქალაქი ავსტრიის სილფიხაში **გრამაუ** 18 დეკემბერს დაიჭრა ჩეხო-სლოვაკებმა.

პოლონეთსა და გერმანიის შორის დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას პოლონეთის მთავრობა იმით ხსნის, რომ გერმანიელებმა პოდლაში დარბევა გააძლიერეს.

შვეიცარიიდან მიღებულია ცნობა, რომ გერმანული სამხედრო გემის „ილტისის“ გვირუკი ბრძოლის აღსანიშნავათ შენახის ახლო ავტობული ძეგლი განადგორეს იმ პირებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ შეთანხმების სახელმწიფოებთან.

**გერმანული პრესა** 19 დეკემბერი „ლოკალ ანციკვიტი“ ამასვე დიქრობს დანარჩენ 8 ჯარისკაცის შესახებ და ამბობს, რომ მათი მოთხოვნები წამოყენებულია ჯარისკაცთა საბჭოს მიერ კი არა, არამედ სპარტაკის ჯგუფის მიერ, რომელმაც ის 20 ჯარისკაცი გამოგზავნა, როგორც ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელი.

სარწმუნოების საქმეთა ბერლინის სამინისტრომ შეადგინა შერეული კომისია ექლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების კანონპროექტის მუხლობრივ განსახილველად. კომისიაში წევრებად შედის საზღვრული-

ბის რამოდენიმე წარმომადგენელი.

**ფრანგული პრესა,** 20 დეკემბ. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ რი ვახუშტის ცნობით შევციის მინისტრმა ჰელსინგფორში თინლიანდის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნავს, რომ აღიარების კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსტქვემენ კუნძული შევციის შეუერთდეს.

ვახუშტის „სა“ აუწყებენ, რომ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ლეო ბირო თანამდებობიდან გადადგა, რის მიზეზათ ავთომყოფობას ასახელებს. ნამდვილათ კი მიზეზი ის არის, რომ ბიროს წინააღმდეგ ხშირათ ალაშქრებდნენ. მას კიხეაღდენ გამოუტყველობისა და უნიკობისთვის. ზოგი ვახუშტი კი ამტკიცებდა, რომ უწყსრიგობა იყო გამეფებული საგარეო საქმეთა სამინისტროში, რასაც შედეგათ მოყვა ცუდი დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშნვა, როგორც მაგალითად შევიცარიში.

აგრაშიდან იუწყებიან, რომ კროაციის მთავრობამ პრძანება გასცა 31 დეკემბრამდე ჯარის დემობილიზაცია მოხდეს.

**ინგლისური პრესა.** 20 დეკემ. ავროპიდან, რომელიც ინსებიდან ინდოეთში მოფრინავს, დანიშნული იყო ბერლინზე ყუმბარების დასაშენათ. პავროლანის სიგრძე 127 ფუტია. მასალებით და მგზავრებ. 27000 გირვანქას იწონის. პავროლანი საათში გადის 100 მილს.

სამშვიდობო კონფერენციის 15 იანვრისთვის მოიწვევენ, სამშვიდობო კონფერენციის მუდმივი კომისია ბრიუსელში იქნება.

ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად, დამოკიდებულ სოც.-დემ. გადასწყვეტეს მხარი დაუჭირონ ნაციონალურ ყრილობის არჩევნებს, ეს გადასწყვეტლება სპარტაკის ჯგუფის დაპრცხებას ნიშნავს.

**ფრანგული პრესა.** 20 დეკემ. კოპენჰაგენიდან იუწყებიან ჩრდილოეთ გერმანიიდან გვმებით ყოველდღე მოდიან განათავისუფლებული სამხედრო ტყვეები. ამჟამად დანიში იმყოფება 8—9 ათასი ინგლისელი; ფრანგი და კანადელი 10.000-მდე ტყვე. შობის დღესასწაულს აქ გაატარებს. ყოველ ზომებს მიიღებენ, რომ მათ შობის დღესასწაული რაც შეიძლება კარგათ ჩატარონ.

ბრიუსელიდან იუწყებიან: ოთხშაბათს ბრიუსელში მყოფ ფრანგ ახალშენის წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს საფრანგეთის დელეგაციის შენობაში, სადაც ისინი მიიღო რესპუბლიკის მინისტრმა, გენ. დეგუტის და რუკეროლის, სელონოს პირადი შეშადგენლობის და საფრანგეთის სამხედრო მისიის თანდასწრებით სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ შარო როლანდმა მეღვინის ოკუპაციის დროს მოაწყო იქმცბო ვრება ფრანგთა გაერთიანების საქმე და ახლა მინისტრს სთხოვა ჰუნჯარეს და კლემანსოს გადასცეს ახალშენის სახელით მათი მადლობა და ერთგულების გრძობა. როზემ წარმოსტქვა სიტყვა, რომლითაც მადლობა გადაუხადა. ფრანგთა ახალშენის საფრანგეთისადმი სიმპატიის გამოხატვისათვის; მადლობა გადაუხადა ჯარის კაცებისთვის და დაქრილებისათვის დახმარების გამო და საფრანგეთის სახელით მადლობა გადაუხადა ლტოლვილ ფრანგებისთვის სურსათის მიწოდებისა და მათი შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენისათვის.

აგრაშიდან იუწყებიან: ჩეხოსლოვაკთა რესპუბლიკამ და სამხრეთის სლოვაინებმა (სერბილებმა, კრატებმა და სლოვაინებმა) დღე-ღამეები აირჩიეს იმ მიზნით, რომ ეკონომიურ და სამხედრო საქმეში მათ შორის შეთანხმება მოხდეს და კავშირი მოეწყოს.

